# პიონერი



სახელგამი

იანვარი
1932 წ.

2

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბელადის ხსოვნას

ჩვენს ბელად ლენინზე
ძაძით ვიმოსებით,
მაგრამ უძლურების
ცრემლებს არ ვღვრით;
წითელი ოქტომბრის
მებრძოლი დროშებით
მის ხსოვნის წინაშე
თავს დაბლა ვხრით,

მშრომელო ბავშვებო,
ყოველი ქვეყნისა
ისმინეთ,
გახსოვდეთ ეს:
მხოლოდ ლენინიზმი
და მისი პარტია
დაამხობს
საერთო მტერს!

გ. ქუჩიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცხოვრება და სიკვდილი

ჩვეულებრივმა ადამიანმა არაჩვეულებრივი საქციელი ჩაიდინა. იგი დასთანხმდა ცირკის მხეცების დასაგლეჯად გაეწირა თავი საზოგადოების თანდასწრებით, რომ შემოსავლის დიდი ნაწილი მოხმარებოდა მის დამშეულ ოჯახს. ეს ჩაიდინა ჩვეულებრივმა მაღაროელმა გამბერნიდან **ალბერტ ვილიანმა**, დიდად განათლებულმა თავის და მგრძნობიარე გულის პატრონმა კაცმა.

თავის გასამართლებლად იგი სწერს დირექტორს შემდეგ წერილს:

„მე დავკარგე სამუშაო ორი წლის წინად, ექვსი თვის განმავლობაში უმუშევრობის დახმარებას ვღებულობდი, ხუთ სულზე ორ კვირაში ორმოცდა რვა მარკას. ცოლმა გრეტემ, მტკიცე ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინა. უკვე ამ ბიუჯეტში ისე ვგრძნობდი თავს, როგორც მიცვალებული კუბოში. არ შეიძლება განძრევა, გადაცილება. ყველა სიამოვნება უნდა გაჰქრეს.

ერთი თვის შემდეგ კრიზისულ დახმარებაზე გადამიყვანეს, შემოსავალი 25 პროცენტით შემცირდა, მერე მოვიდა მესამე სტადია—დახმარება ღარიბთათვის. ეს არის ტუბერკულიოზის მესამე სტადია. ხარჯები გაგვინახევრდა, შემონახული თანხები ამოიწურა, სამუშაოს იმედი არ არის. ბირჟაზე ყოველდღე მატულობს ხალხი. ამბობენ, დღეში საშუალოდ თვრამეტი ათასი გერმანელი ჰკარგავს სამუშაოს. ჩვენ ექვსი მილიონი ვართ. ჩვენ შემოვერტყით გერმანიას, შრომის ბირჟის ფანჯრებთან გაგრძელებულ რიგებით. სამუშაოს ნაცვლად, ჩვენ ყოველდღე ვღებულობთ წიგნაკში ბეჭედს — და ნახვამდის.

ბირჟის კედელზე გაკრულია წარწერა, რომელიც ღაღადებს:

„შენი პროფესია—შენი ბედნიერებაა".

ჩვენ ყველას გვაქვს პროფესია, მაგრამ რათ გვინდა ის?

მე მუშა ვარ. ოცი წელი ტისეის მაღაროებში გავატარე. დღეში რვა მარკას ვიღებდი. ახლა კი ვიღებ დახმარებას, როგორც ღარიბი ორმოცდაათ პფენინგს. ჩემი ბიუჯეტი თექვსმეტჯერ შემცირდა. თქვენ წარმოგიდგენიათ ჩემი ცხოვრება?

ოცი წლის განმავლობაში ყოველდღე შევდიოდი ლოკალში, ვსვამდი ლუდს; ახლა, როგორც კი ქუჩაში გამოვალ, პირველივე ლუდხანა საყვედურით მეუბნება:

— მათხოვარო!

ყოველი ლუდხანა, სადაც მე წინად სიამოვნებას ვღებულობდი, ახლა ტკივილს მაყენებს. არ შემიძლია დამშვიდებით გავიარო ქუჩაში. ყოველი ვიტრინა მიწვევს და მაღიზიანებს მანეკენებზე ჩამოცმულ ფიდჟაკებით, რბილი ქუდებით, რამდენი თეთრეული! ნივთების გორაკები! ისინი ამაყობენ დაბალ ფასებით, მიწვევენ, მე კი კონკებში ვარ. ხორცი, კარაქი, ძეხვი, სასუსნაი, ყველი, ქვეყნიერი, რაც მაღაზიების განიერ ფანჯრებს იქეთ განისვენებს მიუწვდომელი სამოთხეა. თითქო ქვეყანა სურვილების აღსაძრავად არის შექმნილი, ჩვენ კი მისთვის, რომ მარად ვებრძოლოთ მათ; როგორც ნათქვამია „ფაუსტ"-ში:

„გინ ვდგები დილით, ტანჯვები მელის.

მჯერა გრძელი დღე გავა სრულიად,

და მე წინდაწინ ვიცი არ მომცემს

მივწვდე ერთ მათგანს— არც ერთ სურვილსაც.

რა მოაქვ ჩვენთვის ყოველდღიურად ბედს? პური და კარტოფილი; როცა გრეტე პურსა და კარტოფილს უნაწილებს ბავშვებს, მას ხელები უკანკალებს, და მე, ამის შემხედვარე, ვკანკალებ დამცირებისა და უმწეობისაგან. ჩემი ცხოვრება წამების იარაღია მარადიული მამოძრავებლით.

დილით საშინელია გამოღვიძება, შეიძლება მოვიდეს მმართველი და გაუახსენოს.

— ბინის ქირა გადაუხდელია.

ქურდივით დავრბივარ ჩემს კიბეზე, რომ მმართველს არ წავაწყდე. მე ვხვდები ქუჩაზე ამხანაგებს, მაგრამ არ არის შეხვედრის სიხარული. ყველა დაღვრემილია; ჩვენ აღარ ვიკრიბებით მეტს, რომ ვიწკარუნოთ ჭიქებით, მოვიგონოთ სამხედრო სამსახური, ვიმღეროთ ჯარისკაცების სიმღერები. ყველას ერთი საზრუნავი აწუხებს.

— როგორ ვიცხოვროთ დღეს!

ჩვენ ვიძირებით ამ ფიქრებში, როგორც ჭაობში. მუშაობის დროს, დასვენებაც საამო იყო. ეხლა თვით დროც გადიქცა მძიმე ტვირთად. არ ვიცი რას მოვახმარო ეს დრო, რა მოუხერხო ჩემს თავს. მთელი დღე ბულვარში კარტს ვთამაშობ ამხანაგებთან, ანდა უმიზნოთ დავეხეტები ქუჩაში. შინ დაბრუნებისას კარის გაღება მეშინია. გრეტას თვალები თითქო მეკითხებიან;—ხომ არაფერი გიშოვია დღეს, თუნდაც პატარა გარრის რძისათვის.

მაგრამ გერმანიაში სამუშაოს ძებნა იგივეა, რაც ქვისგან რძის გამოწურვა.

უმუშევრისათვის — ბავშვები საშინელებაა.

ჩემი ქალიშვილი ჭურჭლების სარეცხად მივეცი ოტელი „სავაჭრო



კასპის ცემენტის ქარხანა



ეზო"-ში, თვეში 30 მარკად. მუშაობა დილის შვიდიდან ღამის პირველამდე. სამ კვირაში ერთხელ დასასვენებელი დღე. ელზა მხოლოდ ჩვიდმეტი წლისაა. სამ კვირაში ერთხელ გვესტუმრება. ფერმიხდილი, გაწვალებული; შევატყობ ის აღარ იზრდება მეტს. გრეტე თავის წლოვანებასთან მოხუცებულად სჩანს. ელზა პირიქით ახალგაზრდათ, პატარათ; ის ჭამს ჩვენთან კარტოფილს და ყვება თავის დაკვირვებებს ოტელ „სავაჭრო ეზოს" სამზარეულოზე. იქ ბატონებისათვის ამზადებენ ომლეტებს, დაჩეჩქვილ კატლეტებს, ნანადირევს, შინაურ ფრინველს და სხვადასხვა სალათას ქორფა წვანილისაგან; როცა სამზარეულო ტკბილ სურნელოვან კერძებს აგზავნის, ელზას ვახსენდებით ჩვენ და მისი პატარა გული ტკივილით იკუმშება. მისი ცრემლები სცვივა წყალში, სადაც ბატონებისათვის თეფშებს რეცხენ.

გრეტა ცხარობს.

— როდის ექნება ამას დასასრული.

—სახეში აქვს ბატონების დასასრული, მეზობელმა ფრაუ შილინგმა პოლიტიკით დაავადა ის. ეუბნება ელზას:

— შენ უნდა ჩამოყალიბდე ორგანიზაციულად, დაუყონებლივ კანოტში.

საუბარი მეც მიყვარს, მაგრამ ვსდუმვარ, ენა დამიმუნჯდა; ლაპარაკი ჰრილობებს მილიზიანებს მხოლოდ, მოქანცული ტვინით ვფიქრობ ცხოვრებაზე.

— როდის იქნება დასასრული. ასეთი ცხოვრება შეუძლებელია!

მწუხარებამ კი საზღვრები არ იცის ძნელია მისი შეჩერება.

ლია მისი შეჩერება.

აი, რა მოხდა შემდეგ.

ელზამ დიასახლისის თვალწინ დოქი გატეხა. დიასახლისმა გულცივად ესროლა უფროს მზარეულს.

— ახ, ელზა ისეთი სუსტია, დაბნეული; ქუჩაზე კი რამდენია წესიერი ქალიშვილი. გაგზავნეთ სახლში.

ჩემი ბიუჯეტი გაირღვა, ვინაიდან ელზა თავის ტანსაცმელისათვის მხოლოდ ათ მარკას ინახავდა; ოცს—კი ჩვენ გვაძლევდა. შემოსავალი შემცირდა, გასავალი გადიდდა.

გრეტა ბუზღუნებს.

— რა უნდა ვქნათ, რით გამოვიკვებოთ! კომბოსტოს ორთქლით?!

შემდეგ გარრიმ დამატეხა თავზარი. გამოვტყდები იგი ზედმეტ ადამიანად მიმაჩნია. უბედურ დროს დაიბადა. სიბრაზეში, არა ერთხელ მინატრია მისი სიკვდილი; მაგრამ როდესაც ავად გახდა, მზად ვიყავი ყველაფერი გამეღო, ოღონდ გადამერჩინა; ასეთია მშობლიური კანონი. ოთხი კვირის დახმარება დავახმარე მის მკურნალობას და სავსებით მოვშალეთ ჩვენი სამეურნეო სისტემა.

მერძევე და მებულკე ჩვეულებრივად დილით გამოჩნდებიან ხოლმე ჩვენს სახლში. ყველას კარზე რეკავენ. ყველას უტოვებენ სანოვაგეს. ჩვენთვის კი—ცივი შეხსენება მოაქვთ.

— დროა გაისტუმროთ ვალი.

ასევე იქცევა მწვანილეულობის გამყიდველი ბატონი ლანგე.

მე არ გადამიხდია მხოლოდ რვა მარკა და ჩვიდმეტი პფენინგი. თანხა მცირეა, უბედურება კი დიდი. ჩვენ დავრჩით უპუროთ, როგორც ოკეანეში მაშველ ქამრის გარეშე.

გაზაფხული იყო. ხეების ფურცლები და მინდვრის ბალახები ისრუტავდენ მიწის წვენს. ყლაპავდენ მზის სხივებს, მათ კვებავდა წვიმის წვეთები. რით უნდა გამოიკვებოს ადამიანი, როცა მას პურიც არა აქვს! ჩემს სახლში ჩამობნელდა, თითქო მზე ჩაქრა. ჩვენ ვშიმშილობთ.

საღამოობით ჩვენთან მეზობელი ფრაუ შილინგი შემოდის. [illegible] ჩემსავით უმუშევრის. ის [illegible] მეჩვენება ავ და ფიცხ ადამიანად; როცა სიტყვა მდიდრებზე ჩამოვარდება მის ტუჩებს დუჟი ადგება. ყვირის, რომ ყელი უნდა გამოვღადროთ მდიდრებს. ისიც და მისი ქმარიც უცნაური ხალხია. მათ შეუძლიათ შეკუმშვა და გაჭირვების არ შემჩნევა. როგორც თავის კანს ისე შეეჩვიენ მას.

ისინი ღარიბული დახმარებით ცხოვრობენ, მაგრამ ოცნებობენ დიდ სიმდიდრეზე; დილიდან საღამომდე ჭიანჭველებივით ფუსფუსობენ ფურცლებთან, აგროვებენ თანხებს ტუსაღ ამხანაგების სასარგებლოდ ყიდიან გაზეთებს, დადიან არა ლეგალურ დემონსტრაციებზე და პოლიციელების კომბლებს უშვერენ თავს. მათ სიხარულს გვრის იმის ცნობა, რომ სტალინგრადში ტრაქტორების გამოშვება იზრდება. ცხოვრობენ ტისენის მკვდარ კოპრებიან მაღაროებს შორის და უხარიათ—რომ ცოცხალია კოპრები დონბასის მაღაროებში. ისინი თავიანთ საკუთრებათ თვლიან მსოფლიოს მეექვსედ ნაწილს და მთელი გერმანიის ოპყრობას ლამობენ.

ჩემთვის მიუწვდომელია ამ იდეალების სიმაღლე; მე ყოველთვის განზე ვიდექი პოლიტიკიდან და ცხოვრებაში ყველაზე თბრო ჭამა მიყვარდა; ამიტომ მე უფრო ძლიერად ვიტანჯები.

ფრაუ შილინგი მეზობელ კვარტალში წავიდა ხელმოსაწერ ქაღალდით. რამდენილა შეაგროვა ჩვენ სასარგებლოდ?! ხელში ვერცხლის ფულს მაჩრის. ეს ისეთი სულგრძელობაა! მე ბედის სილას შეჩვეული მზად ვარ



ქუთაისის მაუდის ქარხანა

ვიტირო გულკეთილობის მოკარებით. ფრაუ შილინგი გონზე მოსვლას არ მაცლის; ის დაუცხრომელი აგიტატორია. მიხსნის, რომ ეს კლასიურ სოლიდარობის ნიმუშია და მეათასეჯერ მარწმუნებს.

— საჭიროა ტელმანთან გაერთიანება. ბოლო უნდა მოუღოთ კაპიტალისტურ სისტემას, ყელი უნდა გამოვღადროთ მდიდრებს—ასე მოიქცენ რუსები.

ღამით მე და გრეტა ვწევართ განიერ საწოლზე და ვბჭობთ.

—რის გაყიდვა შეიძლება?

საწოლებს გარდა არაფერია შესაფერი. ეს აზრი ტვინს მიწვავს; საწოლები! ჩვენი ცხოვრების თანამგზავრები ოთახში დაბინაოობა სიცალიერე და ყოველთვის მოგვაგონებს განიერ საწოლებს და მაღალ ბუმბულებს—და ნგრეულ კერას;; გული მიცალიერდება, მეჩვენება, თითქოს საწოლ ქვეშ მიწა მეცლება. თვითონ სიკვდილი სუნთქავს ჩემს სახეში და მე წინადადებას ვიძლევი.

— გრეტე, უმჯობესი არ იქნება, სამზარეულოს შესახებ მოვილაპარაკოთ?

იქ, გაზის ღუმელია. წილიწად ნახევარში გამოვისყიდეთ ნაწილ-ნაწილად. მან შემოიტანა მყუდროება. ხუთ წუთში მოადუღებს ყავას; რამდენი კატლეტი შემწვარა მის ცეცხლზე, მაგრამ კიდევ არის იქ გაზი; ის ყველას დაგვაპურებს. მეც, გრეტასაც, ელზასაც, გარრისაც, ყველას! ერთ წუთში!

დიახ, ასეთია კანონი. ადამიანი რაც მეტ ღვინოს სვამს, მით უფრო ემატება წყურვილი. რაც უფრო ომეტს სცემენ ადამიანს, მით უფრო ნაკლებად გრძნობს ცემას. მე და გრეტემ მშვიდათ გადავწყვიტეთ:

ამავე ღამით ყველა შევიყრებით სამზარეულოში, ბავშებს დაძინებულებს შევიტანთ, გავაღებთ ონკანს—და მორჩა..

გრეტა აწყდება ბავშებს. კუშტად სდუმს, სამწლიან გარრის ქერა თავზე კოცნის, ეალერსება ელზას წვრილ ნაწნავებს; ეთხოვება მათ. ეხლა ის წაიღებს თბილ ბავშებს გაზის ღუმელთან.

უცებ გრეტა გაცოფდა. ის მიჩაყვედურებს მე ნებისყოფის მოდუნებას. მიყვირის, რომ მე არ მიყვარს არც ის, არც ბავშები. დიახ, ის მართალია. ნებისყოფა მართლაც მომიჩლუნგდა. ნებისყოფას აღვიძებს გრეტას ყვირილი—ცოლის და დედის. ჩვენ ვსწყვეტთ.

— მე მივდივარ ქვეყნად სამუშაოს საძებრად.

და აი, მე ვდგევარ რეინზე გადაკიდულ ხიდზე, სინათლის რეკლამა აენთება ხოლმე დაანათებს ბუქსირების, ბარჟების და გემების სასაფლაოს. გემები მხარდამხარ მიჯრილი დგანან. რიგში ათ-ათი, გაუთავებელ კოლონებად. რატომ არ ბოლავენ, რატომ არ ცურავენ გემები! რატომ არ სცემენ წყალში ხრახნილების ფრთებს! დაღვრემილობაა, სიწყნარე. ბაქნებთან წყალი ჩურჩულებს. რეინი მეგობრის ენით მელაპარაკება.

— კრიზისია, სამუშაო არ არის! ისკუპე! არა ერთ ვალიანს უნახავს აქ მოსვენება.

ჩემში ცხოვრება და სიკვდილი იბრძვის.

მე კიდევ ერთხელ უარვყოფ იმ გამოსავალს, რომელსაც ასეულები ირჩევენ ყოველდღიურად.



ცემენტის საწვავი ღუმელი

განვაგრძობ გზას. მივდივარ მაღაროების მახლობლად. უყურებ კოპრების ბორბლებს, ისინი არ ტრიალებენ. სიწყნარეა. კოპრები დგანან ჯალაროებზე, როგორც ძეგლები საფლავზე—და მე ესოდენ ძლიერად მინდა მიწის ქვეშ ყოფნა.

მივდივარ მილების ტყეში, რომელიც ჩრდილავს სიწყნარით ჩაკლულ რურს. არსად არ ვთხოულობ სამუშაოს, სირცხვილია, იტყვიან:

— ქუჩაზე შემცდარა.

განვაგრძობ გზას. რურიდან ბერლინამდე 552 კილომეტრია. ჰაეროპლანით სამი საათი უნდა, მატარებლით ცხრა, მე კი ქვეითად მივდივარ; მარტოდ, გაშლილ მინდვრებზე, ქალაქებსა და სოფლებს შორის; ჩემს მახლობლად ბერლინში მიდის ყოველდღე 18 ცარიელი მატარებელი. ისინი მიჰქრიან; ისინი ისე ზუსტად დადიან რომ საათის დაყენება შეიძლება მათი მიხედვით.

მათთვის ძვირფასია ყოველი წუთი. ისინი იჩქარიან.

ცხოვრება კი თითქო გაჩერდა.

მე ვგმინავ.

— გერმანიავ, ჩემო ქვეყანავ! შენ შეგიძლია წუმპე ტბად გარდაქმნა, ტბა ზღვად აქციო, მაგრამ შენ არ შეგიძლია დაეხმარო ადამიანს, რომელიც ქვეითად მიდის შენი გზების შპალებზე. ადამიანი ისე იტანჯება, რომ გინდა გაწვე ყოველ მატარებლის ქვეშ.

თორმეტი დღე-ღამის შემდეგ ბერლინში ვარ. მიუსაფართა სახლში. დილ-დილობით ჩვენ გამოვდივართ ლუკმა პურის სანადიროთ, ვეძებთ სამუშაოს.. გაზეთები ბეჭდავენ ფურცლებს, შრომაზე მოთხოვნილებების განცხადებით, რედაქციასთან ათასობით იკრიბებიან, ფურცლების დარიგების დროს ხალხი აწყდება გაზეთის გამყიდველს, როგორც მშიერი მხეცები ხორცს, ეტანებიან ფურცლებს და აქცევენ ერთმანეთს. თვალებით ეწებებიან განცხადებებს და მირბიან—თითქო მუპოები მოსდევენ. ბევრი მათგან ველოსიპედით მიდის. ისინი სხდებიან მანქანებზე, საჭეზე მოხრილი მთელი ძალღონით აწვებიან პედალებს და ენა გამოგდებული მიჰქრიან სამუშაოსაკენ.

ხე ტრამვაის გაჩერებასთან მივდივარ. ბერლინში ერთი ბილეთით ორჯერ შეიძლება მგზავრობა მეორე ხაზზე გადაჯდომით. ვეძებ მგზავრს, რომელსაც გადაჯდომა არ სჭირდება; მინდა ვისარგებლო მისი ბილეთით. ამას ბერლინელების ენაზე პეპლებას ჭერა ეწოდება. აქაც კონკურენციაა. ტრამვაისათვის ბევრს არა აქვს ოცდა ხუთი პფენინგი; ეს ნახევარია დღიური დახმარების.

(დასასრული იქნება)

გ. ლორთქიფანიძე.

# ბელადის მითითებების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციამ ადგილებიდან მიიღო პიონერთა წერილები. ამხანაგები სამართლიანად გვისაყვედურებენ, რომ სამეურნეო მუშაკთა თათბირზე სტალინის მიერ წარმოთქმულ სიტყვის, მისი ექვსი ისტორიული მითითების შესახებ ჯერ-ჯერობით ჟურნალ „პიონერის" დაწერილებით არ მიუტანია მათთან ამბავი.

მართალია ამხანაგებო.

ჩვენ ამ საკითხს თუმცა ხშირად ვეხებოდით ჩვენს ყოველ წერილში, ვწერდით, თუ როგორ უნდა გავატაროთ ჩვენს მუშაობაში **ამხ. სტალინის** ექვსი ისტორიული მითითება, მაგრამ თვით წერილი ერთიანად დღემდე ვერ მოგვითავსებია.

რას მიუთითა ამხ. **სტალინმა?**

რით აიხსნება ის მდგომარეობა, რომ ჩვენი მრეწველობის ზოგიერთი დარგები საგრძნობლად ჩამორჩა განვითარების ტემპებს? სად არის იმას მიზეზი, რომ მრეწველობის ზოგიერთმა დარგმა მოგვცა მხოლოდ 20—25 პროცენტით გადიდება, ხოლო ქვანახშირის მრეწველობა და შავი მეტალურგია იძლევიან კიდევ ნაკლებ გადიდებას და კუდში მისჩანჩალებენ სხვა დარგებს?

— სვამს კითხვას **ამხ. სტალინი** და უპასუხებს:

„მიზეზი ის არის, რომ ამ უკანასკნელ დროს მრეწველობის განვითარების პირობები ძირფესვიანად შეიცვალა, შეიქმნა ახალი პირობები, რომლებიც მოითხოვენ ხელმძღვანელობის ახალ ხერხებს, ხოლო ზოგიერთი ჩვენი სამეურნეო მუშაკები ძველებურად განაგრძობენ მუშაობას. აი რატომ იტანჯება მრეწველობის ზოგიერთი დარგები.

რა ახალი პირობებია ეს პირობები?

ისინი, სულ ცოტა რომ ვთქვათ ექვსია. განვიხილოთ ეს პირობები.



ტფილისის 26 კომუნარის სახელობის ქარხანა ხელოს. ხოშტარია, რომელიც წარდგენილია ლენინის ორდენზე.

### 1. მუშა-ხელი

უწინ მუშები თვითონ მოდიოდნენ ფაბრიკა-ქარხნებში. არსებობდა ყოველგვარი თვითდინებიანობა ამ საქმეში. ამ თვითდინებიანობას იწვევდა: უმუშევრობა და სოფლის ფენებად დაყოფა. სიღარიბე და სიღატაკე კი ყოველთვის გლეხებს სოფლიდან აძევებდა, სოფელი გლეხისათვის დედინაცვალი იყო, გლეხი იძულებული იყო გაქცეულიყო სოფლიდან სამუშაოს საძებნელად. რა მდგომარეობა გვაქვს დღეს?

დღეს ჩვენში ვითარება სრულიად შეიცვალა, **პირველი:** ჩვენ მოვსპეთ უმუშევრობა, **მეორე:** ჩვენ ძირი გამოვუთხარეთ სოფლის ფენებად დაყოფას, მოვსპეთ ის მასიური სიღატაკე, რომელიც გლეხს სოფლიდან ქალაქისკენ ერეკებოდა. გავსტეხეთ კულაკი, შევქმენით კოლმეურნეობები, სადაც გლეხს შეუძლია ადამიანურად ცხოვრება და მივაწოდეთ მათ ათასობით ტრაქტორები და სხვა სას. სამ. მანქანები. ახლა სოფელი უკვე არ არის გლეხისათვის დედინაცვალი, გლეხიც სოფლად რჩება და უკვე ადგილი არა აქვს მუშა-ხელით უზრუნველყოფის საქმეში, თვითდინებიანობას.

აქედან გამომდინარეობს ის, რომ ჩვენ აწი იმედი არ უნდა გვქონდეს მუშა - ხელით თვითდინებიანობის გზით უზრუნველყოფის. სად არის გამოსავალი? გამოსავალი არის სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულების დადება კოლმეურნეობებთან და კოლმეურნეებთან, რომ მათ ორგანიზაციულად, მოწესრიგებულად მიაწოდონ მათ მუშა-ხელი.

აგრეთვე უნდა მოვახდინოთ შრომის მძიმე პროცესების მექანიზაცია, რომ მანქანებს დავაკისროთ ის მძიმე სამუშაო, რომელსაც აქამდე ადამიანი ასრულებდა; რასაკვირველია, ამით არ ისპობა ხელით მუშაობა, არამედ ხელით მუშაობა კიდევ დიდხანს ითამაშებს დიდ როლს წარმოებაში.

ამგვარად: მოწესრიგებულად შევაგროვოთ მუშა - ხელი კოლმეურნეობებთან ხელშეკრულების დადების გზით და მოვახდინოთ შრომის მექანიზაცია, — ასეთია ამოცანა, ამბობს **ამხ. სტალინი.**

### 2. მუშათა ხელფასი

ჩვენს წარმოებებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მუშა-ხელის ცვალებადობას. ძალიან ცოტას ნახავთ ისეთ წარმოებას, სადაც ყოველთვიურად არ იცვლებოდეს 30—40 პროცენტით.

წინად როცა ჩვენში ტეხნიკური მოწყობილობა უმნიშვნელო და მარტივი იყო, შეიძლებოდა მუშა - ხელის ცვალებადობის ასე თუ ისე მოთმენა, ახლა კი გაშლილი რეკონსტრუქციის პერიოდში როცა ტეხნიკური მოწყობილობა უაღრესად რთული გახდა, ხოლო წარმოების მასშტაბი გიგანტიური, უკვე შეუძლებელია მისი ატანა. ცვალებადობა უკვე გადაიქცა წარმოების უბედურებად.

რა არის მუშა - ხელის ცვალებადობის მიზეზი?

ხელფასის არასწორი განაწილება. „მემარცხენო" გათანასწორება ხელფასის განაწილების დარგში. მთელ რიგ საწარმოებში თითქმის მოსპეს სხვადასხვაობა კვალიფიციური და არაკვალიფიციური, მძიმე და მსუბუქი შრომის ხელფასის შორის.

შეუძლებელია — ამბობს ამხ. სტალინი — ჩვენს პირობებში ამგვარი გათანასწორება, დაუშვებელია, რომ მტკეცავი შავ მეტალურგიაში იმდენსავე იღებდეს, რამდენსაც დამგველი იღებს და სხვ.

**„შრომის ხელფასი" სოციალიზმის დროსაც კი უნდა იქნეს გაცემული შრომის და არა მოთხოვნილების მიხედვით.**

რას იწვევს ხელფასის გათანასწორება?

მუშათა ცვალებადობას წარმოებაში. კვალიფიკაციური მუშა იძულებულია ერთი წარმოებიდან მეორეში გადავიდეს, სადაც მეტ ხელფასს მისცემენ.

გარდა ამისა არაკვალიფიციური, მუშა არ არის მოწადინებული შეიძინოს ცოდნა, კვალიფიკაცია, რადგან კვალიფიციური მუშის ოდენა ხელფასს მაინც იღებს; ასე ეკარგება მას წინ წაწევის სურვილი, რომ წარმოებებში არ ექნეს ადგილი მუშათა ცვალებადობას, უნდა მოვსპოთ ხელფასის გათანასწორება. მეტი კვალიფიკაციის მუშას უნდა მიეცეს მეტი ხელფასი, დაბალ კვალიფიკაციისას ნაკლები. ამით დაბალი კვალიფიკაციის მუშა დაინტერესებული იქნება წინ წაწევის, სწავლის, მომზადების საქმით.

ეს კიდევ საკმარისი არ არის, მეტად უნდა ვიზრუნოთ მუშათა ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე.

მაშ, მუშა-ხელის ცვალებადობის მოსპობა, გათანასწორების მოსპობა, სამუშაო ხელფასის საქმის მოწესრიგება, მუშათა ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება — ასეთია ამოცანა.

### 3. შრომის ორგანიზაცია

ჩვენში ჯერ კიდევ არსებობენ მთელი რიგი საწარმოები, სადაც შრომის ორგანიზაცია ძალიან ცუდად არის მოგვარებული; სადაც მუშაობის ნაცვლად გამეფებულია სრული არევ-დარევა, უპასუხისმგებლობა და გაუპიროვნება.

რა არის გაუპიროვნება?

გაუპიროვნება არის სრული უპასუხისმგებლობა მინდობილ მუშაობისათვის, უპასუხისმგებლობა მექა-



ბავშები საბავშო ბაღში

ნიზმების, დაზგების და ინსტრუმენტების მოვლისათვის.

წინად კიდევ შეიძლებოდა ასე, თუ ისე იოლად წასვლა, მაგრამ დღეს წარმოების გაზრდის დროს, გიგანტების არსებობის დროს გაუპიროვნებაც უბედურებაა მრეწველობისათვის.

როგორ წარმოიშვა გაუპიროვნება?

იგი საწარმოებში წარმოიშვა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე მოუმზადებლად და აჩქარებულად გადასვლით, მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ განუწყვეტელი მუშაობა აუცილებლად იწვევს გაუპიროვნებას, პირიქით, თუ შრომა წესიერად იქნება მოწესრიგებული, მაშინ



სტალინის სახელობის ფაბრიკა. მკერავი ქალების დამკვრელი ბრიგადა

განუწყვეტელი მუშაობა იწვევს შრომის ნაყოფიერების უდიდეს ზრდას და არა გაუპიროვნებას. ის წარმოებები, რომლებიც მოექცენ გაუპიროვნების ბადეში, განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე მოუმზადებლად და აჩქარებულად გადასვლით, დროებით, უნდა დაუბრუნდენ ექვს დღიან სამუშაო კვირას, რომ თავი დაიხსნან გაუპიროვნებისაგან.

საჭიროა ჩვენმა სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ერთი-ორი თვე დაჰყონ მაღაროში, ქარხნებში, შეისწავლონ შრომის ორგანიზაციის ყველა დეტალები და ებრძოლონ გაუპიროვნებას.

ამგვარად: გაუპიროვნების ლიკვიდაცია, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, ძალების სწორი განაწილება საწარმოში — ასეთია მესამე ახალი პირობა.

### 4. მუშათა კლასის საწარმოო-ტეხნიკური ინტელიგენციის საკითხი

ახლა, როცა ჩვენში მშენებლობის უდიდესი მასშტაბია, ჩქარი ტემპები და მრავლდება საწარმოო ცენტრები, არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ იმ საინჟინერო-ტეხნიკური ძალებით, რომლებიც დღემდე გვყავდა და ასე თუ ისე გვყოფნიდა. ჩვენ ეხლა ჩვენი წარმოება უნდა უზრუნველვყოთ სამჯერ და ხუთჯერ მეტი საინჟინერო-ტეხნიკური ძალებით, ამას მოითხოვს განვითარების ტემპები. ჩვენ ეს უნდა შევძლოთ თუ მართლა გვსურს განვახორციელოთ საბჭოთა კავშირის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პროგრამა.

მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება ისეთი საინჟინერო-ტეხნიკური ძალები, რომელთაც შეეძლებათ გაიგონ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის პოლიტიკა, რომელნიც მზად იქნებიან სინდისიერად განახორციელონ იგი.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა შევიდა განვითარების ისეთ პერიოდში, როცა მუშათა კლასმა უნდა შექმნას თავისი საკუთარი საწარმოო ტეხნიკური ინტელიგენცია. საბჭოთა ხელისუფლებამ გაითვალისწინა ეს და უმაღლეს სასწავლებლებში კარი გაუღო მუშათა კლასიდან გამოსულ ადამიანებს, მუშის და გლეხის შვილებს.

მაგრამ მარტო ეს არ კმარა, საჭიროა დავაწინაუროთ წარმოების პრაქტიკული მუშაკები, დამკვრელები, შეჯიბრების ინიციატორები, მშენებლობის ამა თუ იმ დარგის სამუშაოთა ორგანიზატორები და მოვამზადოთ მათგანაც მუშათა კლასის საწარმოო ტეხნიკური ინტელიგენცია. ისინი უმაღლეს სკოლა განვლილ ამხანაგებთან ერთად უნდა შეადგენდენ ჩვენი საწარმოო ტეხნიკურ ინტელიგენციის ბირთვს.

ამ ამხანაგებს შორის ბევრია უპარტიო, საჭიროა სწორედ ამ უპარტიო ამხანაგებს მივაქციოთ ყურადღება და დავაწინაუროთ ისინი პასუხისმგებელ თანამდებობაზე, რათა ისინი საქმით დარწმუნდენ, რომ პარტია აფასებს უნარიან და ნიჭიერ მუშაკებს.

ამრიგად, მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს ჰყავდეს თავისი საკუთარი საწარმოო ტეხნიკური ინტელიგენცია.

## 6. მობრუნების ნიშნები ძველი საწარმოო - ტექნიკური ინტელიგენციის რიგებში

ორი წლის წინად ჩვენში იმგვარად იყო საქმე, რომ ძველი ტექნიკური ინტელიგენციის უფრო კვალიფიციური ნაწილი შეპყრობილი იყო მავნებლობის სენით. მავნებლობა შექმნა კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ საბჭოთა კავშირის შიგნით.

საბჭოთა ხელისუფლება აქტიურ მავნებლობის წინააღმდეგ იძულებული იყო მიემართა განადგურებაის პოლიტიკა. ნეიტრალური, მერყევი ფენა დაექუცვაცებია, დაეშალა, ხოლო ისინი კი, რომლებიც ასე თუ ისე აძლევდნენ ჩვენსკენ კეთილგანწყობილებას, მიემხრო საბოლოოდ.

ახლა ამგვარი მდგომარეობა აღარ გვაქვს. აქტიურ მავნებლებს სასტიკად გაუტეხა სახელი თოსკოვში სასამართლოს პროცესმა. შეიქმნა ახალი განწყობილება ძველ ტექნიკურ ინტელიგენციაში. ახლა ჩვენ გვაქვს იმ ინტელიგენციის, რომლებიც წინად თანაუგრძნობდა მავნებლებს, საბჭოთა ხელისუფლებისაკენ მობრუნების ფაქტები. გულმოდგინე მავნებლების საგრძნობი ნაწილიც მუშაობას იწყებს მთელ რიგ ფაბრიკებსა და ქარხნებში.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს ჩვენში უკვე აღარ იყოს მავნებლები, არა, ისინი ჩვენში ახლაც არსებობენ და იარსებებენ სანამ ჩვენში იარსებებს კლასები, სანამ იარსებებს კაპიტალისტური გარემოცვა.

მაშ უნდა შეიცვალოს ჩვენი პოლიტიკაც ჩვენსკენ შემობრუნებულ ინტელიგენციის მიმართ. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მათი საბოლოო მოზიდვის და ხელმძღვანელობისათვის. მაშ, დამოკიდებულების შეცვლა ძველი ინჟინერ - ტექნიკოსებისადმი, მეტი მზრუნველობა მათზე, მათი გაბედულად ჩაბმა მუშაობაში — ასეთია ამოცანა.

## სამეურნეო ანგარიშის შესახებ

დაგროვების ძველი წყაროები უკვე საკმარისი აღარ არის ჩვენი მრეწველობის შემდეგი გაშლისათვის. საჭიროა გამოვძებნოთ დაგროვების ახალი და გავაძლიეროთ ძველი წყაროები

დასავლეთის ქვეყნების კაპიტალისტებმა გადაჭრით გვითხრეს უარი კრედიტების და სესხების მოცემაზე.

მთელი ჩვენი ქვეყნის აღდგენისა და რეკონსტრუქციის საქმე კეთდებოდა ჩვენივე თანხებით, რომელსაც ჩვენ ვიღებდით მსუბუქი მრეწველობიდან, სოფლის მეურნეობიდან და საბიუჯეტო დაგროვებიდან.

ახლა კი ეს წყაროები აღარ ჰყოფნის ჩვენი განვითარების მაღალ ტემპებს, საჭიროა გამონახვა ძლიერი წყაროებისა. ჩვენ უნდა შევქმნათ ტექნიკურად შეიარაღებული ახალი მრეწველობა ურალზე, ციმბირში და კაზაკისტანში, რომ შევძლოთ რკინის გზათა ახალი ქსელის გაყვანა, ახალი სას.-სამ. წარმოებების მოწყობა და სხვ.

რა მდგომარეობაშია ჩვენი ძველი დაგროვების წყაროები?

**მსუბუქი მრეწველობა** დაგროვების უდიდესი წყარო, მაგრამ იგი უსაზღვრო არ არის. **სოფლის მეურნეობა** თვით საჭიროებს ახლა რეკონსტრუქციას და სახსრებს. **საბიუჯეტო დაგროვება** კი არ შეიძლება და არც უნდა იყოს უსაზღვრო. რაღა რჩება? მძიმე მრეწველობა. მაშასადამე, მძიმე მრეწველობა, მანქანათმშენებლობა უნდა გვაძლევდეს დაგროვებას.

ამაშია გამოსავალი.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ სამეურნეო ანგარიშის პრინციპებს ძირი გამოუთხარა უყაირათო წარმოების წყალობით. მთელ რიგ წარმოებებში თავი მიანებეს ანგარიშს, „ვომჭირნეობის რეჟიმს" „წარმოების რაციონალიზაციას" თვითღირებულების შემცირება არაა საკმარისი. და სხვ. საჭიროა ყველა ამათ წინააღმდეგ გაძლიერებული ბრძოლა.

მაშასადამე, დანერგვა და განმტკიცება სამეურნეო ანგარიშისა, მრეწველობის შინაგან დაგროვების გადიდება — ასეთია ამოცანა.

აი ის ექვსი ახალი პირობა, რომელმაც შექმნა ახალი ხელმძღვანელობის მოთხოვნილება.









— აი ჩემი ხელით გაკეთებული ავტომობილი!



პიონერები კლუბში

# ტომას ალვა ედისონი

მსოფლიო კრიზისის გამანადგურებელი აფეთქების დროს, რომელიც ძირფესვიანად არყევს კაპიტალიზმის შენობას, იმ პერიოდში, როდესაც ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები ასამარებენ თავისი "გაფურჩქვნის" ილუზიას, ჩავიდა სამარეში ერთი უდიდესი გამომგონებელთაგანი—ტომას ალვა ედისონი, რომლის შემოქმედებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული კაპიტალისტური ტეხნიკის განვითარების ზოლი.

ამერიკაში, სადაც ადამიანი ფასდება იმის მიხედვით, თუ რა ღირს იგი, ნიუიორკის გაზითი „ტაიმსი" წერდა 1923 წლის 24 ნოემბრის ნომერში:

„არსებობს ადამიანის ტვინი, რომელიც წარმოადგენს ვეებერთელა საფასურს; საქმიან და სამრეწველო ქვეყანაში მას აფასებენ 15 ბილიონ დოლარად. ბილიონები, და არა მილიონები! ეს შეადგენს 20 პროცენტს მთელი ოქროს ღირებულებისაა, რომელიც ამოღებულია მთელი მსოფლიოს ყველა მაღაროდან ამერიკას აღმოჩენიდან დღემდე. ეს ტვინი ტომას ალვა ედისონს ეკუთვნის.

მაგრამ არა მარტო ტვინი, არამედ ედისონის ბიოგრაფიაც (ისტორია „გაზეთის დამტარებლისა, რომელიც მილიონერი შეიქმნა") მოხერხებულად ექსპლოატირებულია ბურჟუაზიისაგან.

ედისონის შემოქმედება და მოღვაწეობა მჭიდროდ არის გადახლართული კაპიტალიზმის საწარმოო ძალთა განვითარების ეპოქასთან და ელექტრობის ძლევამოსილ წინსვლასთან. უდიდესმა თვითნასწავლმა მთელი თავისი ცოდნა სხვებისგან დამოუკიდებლად შეიძინა.

ტომას ალვა ედისონმა მხოლოდ ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატებისგან მიიღო 1.500 პატენტი. 11 წლის ბიჭი, გაზეთების დამტარებელი რკინის გზებზე და ტკბილეულის გამყიდველი, შემდგომ 15 წლის—რედაქტორი და იმავე დროს ასოთამწყობი და თავისივე საკუთარი პატარა გაზეთის გამომცემი, მოყვარული ელექტრო მექანიკოსი, ტელეგრაფის გადამცემი რკინის გზის სადგურზე (16 წლის), ტომას ედისონი 1869 წლიდან გვევლინება, როგორც უდიდესი გამომგონებელი.

ედისონის პირველ დიდ გამოგონებად ითვლება ორმაგი (1864 წ.) და ოთხმაგი სატელეგრაფო გადაცემა, ე. ი. ერთსა და იმავე დროს გადაცემა ერთ ხაზზე, ერთი-მეორის ხელის შეუშლელად (ორივე ბოლოდან) 2 და 4დეპეშის. 1870 წელს ედისონი (პოპესთან ერთად) იგონებს მბეჭდავ ტელეგრაფის აპარატს. შემდეგ მან ელსმენის აპარატში საინდუქციო კოჭი მოათავსა; კოჭის პირველადს სხეულში შეერთებულია მიკროფონი პატარა ბატარეით, მეორედით — ელსმენის საშუალებით შეერთებულია ხაზთან (ელსმენის აპარატი ადგილობრივ ბატარეასთან). ამ გამოგონებამ შესაძლებელი გახადა სიტყვის უფრო გარკვეულით გადაცემა და ამავე დროს მიკროფონის არსებით გაუმჯობესებით (ნახშირის ფხვნილი) შესაძლებელი შეიქმნა ადამიანთა დაკავშირების უდიდესი საშუალებით-ელსნსით ფართოდ და მოხერხებულად სარგებლობა. ამერიკელი პროფესორის ბელ-ის წინად გამოგონებული (1875 წელში) ელსმენი ახლა ხმამაღლა და გაბედულად ალაპარაკდა.

1877 წელს ედისონი იგონებს ფონოგრაფს, რომელმაც [illegible] ფას მხოლოდ 10-12 წლის [illegible] მუშაობის შემდეგ მიაღწია. მსოფლიოს გამოფენაზე ჩიკაგოში ედისონი დემონსტრაციას უკეთებს კინემატოგრაფის წინაპარს-კინეტეფონს, ხელსაწყოს, რომელიც, გამომგონებლის აზრით, თვალისათვის იგივე შეიქმნა რაც ყურისთვის ფონოგრაფი. პირველად დასრულებული სახით კინემატოგრაფი სადემონსტარაციოდ გამოტანილი იქნა ნიუიორკში ამ 35 წლის წინად (1896 წ.) ამჟამად კინემატოგრაფს ამერიკისათვის დაახლოვებით 1 მილიარდ დოლარამდე შემოაქვს. ერთიმეორეზე რომ გადაგვება ფილმის ლენტი, რომელიც ყოველდღიურად გადის ჩ. ა. შ. შტატებიდან, შეიძ-



ებრაელ ბავშთა სახლი. ჩულქის საქსოვ ცეხში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებოდა დედამიწის ბირთვის ეკვატორის გასწვრივ მისი 1¼-ჯერ შემოვლება.

1879 წლის 21 დეკემბერს ამერიკის ერთერთ გაზეთში მოთავსდა წერილი ედისონის ახალ გამოგონებაზე (ედისონის სინათლე). ეს მუშაობა უახლოესად არის დაკავშირებული პ. ნ. იაბლოჩკოვის გამოგონებასთან. პირველი უპირატესობა „სანთელზე" იაბლოჩკოვმა აიღო 1876 წელს საფრანგეთში. იმ დრომდე ელექტროგანათების წყაროდ ითვლებოდა რკალისებური ნათურა. 1877 წლის მთელს მსოფლიოში მხოლოდ 80 ელნათურა იყო, რომელიც განუწყვეტლივ მოშაობდა. თითოეულ რკალისებურ ნათურას ენერგია საკუთარი ელსადგურიდან უნდა მიეღო; მას სამსახურს უწევდა გაისაკუთრიბული დინამო მანქანა, რომელიც შეერთებული იყო პირველად მამოძრავებელთან. იაბლოჩკოვმ გადასჭრა ამოცანა—რამდენიმე რკალისებურ ნათურასთვის, ენერგია ცენტრალური განმანაწილებლისაგან მიეწოდებოდა.

რკალისებური ნათურები ძალიან მძლავრი იყო, მაგრამ მათი გამოყენება ძალზე ძვირი ჯდებოდა. გამომგონებლობის აზრი მუშაობდა შეექმნა გზები გაელვარებული ნათურების დასამზადებლად. გასაელვარებელ ძაფად, რომელიც შეძლებდა გაუსაზღვრულ ტემპერატურაზე მოეცა ამა თუ იმ სიძლიერის სინათლე, პლატინა იხმარებოდა. პლატინის სიძვირემ აიძულა გამომგონებლები მოეძებნათ ნათურას ძაფებისთვის სხვა ნივთიერება. ედისონმა გააკეთა ნათურა ნახშირის ძაფით (ბამბუკისგან), რომელიც მოთავსა დახურულ მინის ჭურჭელში. საიდანაც ამოტუმბა ჰაერი, რათა დაეცვა ნახშირი დაწვისაგან.

ედისონის ელნათურა, გაელვარებული ნახშირის ძაფებით, იმ დროსთვის იმდენად სრულქმნილი იყო, დამზადება კი იმდენად იაფი, რომ ეს ნათურა მასიური მოხმარების საგნად გადაიქცა. როგორც ბუნებრივი შედეგი ამ აღმოჩენისა, 1882 წელს მოქმედებს ედისონის მიერ პირველად შექმნილი არა მარტო ამერიკაში, არამედ მთელს მსოფლიოში, ელსადგური (ცენტრალური სადგური მარგალიტის ქუჩაზე). ეს იყო პირველი სადგური, რომელიც, როგორც თვითონ ედისონი ლაპარაკობს, აუარებელი ოდენობის შუქს იძლეოდა ნიუიორკის ერთი ნაწილის ქუჩებისა და შენობებისთვის: იგი შეიქმნა გაბედულ ტექნიკურ გადაწყვეტილებათა განსახიერებად. როგორც ცენტრალური სადგურების გამომგონებელმა, ედისონმა გააკეთა ჩამრაზი, გამოიგონა დამცველი, იწყო შეგროვება გასაზომი ხელსაწყოების და საკომუტაციო მოწყობილობის საერთო ფარზე. დაამუშავა გასანათებელ ელექტროენერგიის განმანათებელი სისტემა. დაახლოვებით იმავე ხანებში ედისონი აწყობს მსოფლიოში პირველს ელექტრობის რკინის გზას.



პოლიტექნიზაცია სკოლაში.

შემდგომ ედისონმა, როგორც ცნობილია, გამოიგონა ელექტრობის რკინა-ნიკელის აკუმულატორები.

თანადროულობის უდიდეს ტექნიკოსს, ედისონს, აქვს ცნობილი გამოგონებანი სამთომადნო დარგშიაც (მადნიდან რკინის ელექტრომაგნეტური გამოყოფის ხერხი, რომელიც დიდათ არის გავრცელებული ამერიკაში). ქიმიის (კარბოლის სიმჟავის სინთეტიური მიღება, ამ უკანასკნელ დროს კი იგი მუშაობდა რეზინის პრობლემაზე), ჩამოსხმის საქმის, ასტრონომიაშიაც, ჰიდროგრაფიაში და სამხედრო საქმეში.

თვითნასწავლის ედისონის ცოდნა თითქმის უნივერსალური იყო. 1926 წელს ამ სტრიქონების დამწერმა საერთაშორისო ელექტროტექნიკური კონგრესის დელეგატების ჯგუფთან ერთად (კონგრესი მიმდინარეობა ამერიკაში) ინახულა ედისონი მის ლაბორატორიაში, რომელიც მდებარეობს ვესტ-ორანჟში, დაახლოვებით 60 კილომეტრის მანძილზე ნიუიორკიდან. ედისონმა მიგვიღო თავის ბიბლიოთეკაში, სადაც თავმოყრილია 60.000 წიგნი და ჟურნალი, რომელიც მან შეაგროვა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. წიგნები არა მარტო ინგლისურ, არამედ ფრანგულ, იტალიურ და გერმანულ ენებზეა. ბიბლიოთეკის კედლებზე — ფოტოგრაფები, სურათები, პლაკატები, რომლებიც ლაპარაკობენ შემოქმედების სხვადასხვა საფეხურზე და მიღწევებზე ბრძოლით აღვსილ სიცოცხლეში. მარცხნივ, შესასვლელი კარების ახლო სდგას სარეცელი, რომელიც ემსახურებოდა მას ცოტა ხნის დასასვენებლად იმ პერიოდში, როდესაც ის გატაცებული იყო გადასაწყვეტად მოახლოვებული ამოცანით; მუშაობდა განუწყვეტლივ, დღითი და ღამით, ბიბლიოთეკიდან გამოუსვლელად. 1879 წელს 45 საათი განუწყვეტლივ იჯდა თავის მახლობელ ასისტენტ ბეჩლორთან ერთად, მსოფლიოში პირველად ელნათურაში მოთავსებული ნახშირის ძაფის წინ. მათი გამოხედვა გაუმაძღარათ ჩასჩერებოდა გაელვარებულ ნახშირის ბეწვს, რომელიც აფრქვევდა თანასწორ და რბილ შუქს. ედისონი სწავლობდა მის სასიცოცხლო რეჟიმს.

იმპერიალისტური ომის დროს კი, თითქმის 70 წლის მოხუცი ედისონი, რომელმაც მიზნად დაისახა განსაკუთრებულ მოკლე დროში შეექმნა ქარხანა სინთენტიური კარბოლის სიმჟავისა, მუშაობდა განუწყვეტლივ, დაუსვენებლივ 168 საათი, ლაბორატორიიდან გარეთ გამოუსვლელად: ის ცდილობდა მხოლოდ ერთი ორი საათით მიეძინა იქვე მდგარ სავარძელზე. ედისონის ბიბლიოთეკაში თქვენ ხედავთ მთელ რიგს დავთრებს, მის ხელნაწერებს, სადაც უდიდესი სიზუსტით და დიდი დაწვრილებით ყოველდღე, მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, იწერებოდა გაწეული მუშაობის შედეგი, ჩატარებული ცდები




უმუშევართა ბავშვები პენსილვანიაში

ჩაწერა ჩვეულებრივ თვით ედისონის ხელით სწარმოებდა, მისი სისწორე მტკიცდებოდა მისგანვე და ორი სამი პირის, მისი თანაშემწეების მიერ, რომელიც იღებდენ მონაწილეობას მოცემული სამუშაოს შესრულებაში.

ედისონის სიჯიუტეზე ცდებში ლაპარაკობენ აგრეთვე ცალკე ფაქტებიც. ერთი მისი თანაშემწის, მიმართ მიმართულ კითხვაზე, თუ რამდენი ცდა ჩაატარა ედისონმა, ვიდრე საბოლოოდ ჩამოაყალიბებდა აკუმულატორს, შემდეგი პასუხი მივიღეთ:

— ჩვენ ვთვლით ჩვენს ცდებს სერიების მიხედვით, 10.000 ნომერი თითოეულ სერიაზე; ვათავებთ რა ერთ სერიას, ვიწყებთ შემდეგს. მე ვიცი მხოლოდ, რომ ცდები ხელსაწყოს ირგვლივ შეადგენენ 4-5 სერიას. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩატარებულ იქნა დაახლოვებით 50.000 ცდა.

6.000 სხვადასხვაგვარი მცენარე, უმთავრესად ბამბუკისებრი, გამოაცხადა ედისონმა, როგორც მასალა ნახშირის ნათურას გასაელვარებელი ძაფისათვის. (ცნობილი ამერიკელი ელექტროტექნიკოსი, საბჭოთა რუსეთის მეგობარი, აწ უკვე გარდაცვლილი შტეინმეტცი, ერთ თავის სიტყვაში ლაპარაკობს, რომ ედისონი „უკეთ, ვიდრე სხვა ვინმე, ხელს უწყობდა ხელოვნებას და ელექტროინჟენრის მეცნიერებას".

ედისონმა თავის ეპოქაზე ხანგრძლივად იცოცხლა, მან მიაღწია ფრიდრიხ ენგელსის გენიალურ წინასწარმეტყველებამდე, იქამდე, რომ ელექტრონის საუკუნეში „საწარმოო ძალები განვითარდებიან იმ ოდენობამდე, რომ ისინი გადაეზრდებიან ბურჟუაზიის ხელმძღვანელობას".

ჩვენ ვართ მოწმენი იმისა, თუ როგორ ჰქმნიან შიგაგან კრიზისს ბურჟუაზიული მეცნიერებისა და ტექნიკისათვის დაცემა და დალპობა თანამედროვე კაპიტალიზმისა. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ბატონდება ბურჟუაზიული მეცნიერების სხვადასხვა დარგში ლოზუნგი: „უკან!" ედისონის სამშობლოში ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ აჩერებენ უდიდესი ელექტრომშენებლობის განხორციელებას. არ ახორციელებენ, მაგალითად, უზარმაზარ სადგუროთა პროექტს წმ. ლავრენტის მდინარეზე და მდინარე ტენესზე, არ აკეთებენ ჯებირს და ელსადგურს მდ. კოლოოადოზე და სხვ.

ედისონმა მაგრად დაუკავშირა თავისი ბედი კაპიტალისტურ მსოფლიოს. მიუხედავად ამისა, ჰერნი ფორდის მეგობარი, ის არა ერთხელ განიცდიდა თავის თავზე თანამოძმეების მგლურ კბილებს. საინტერესოა აღნიშნოს, რომ თუ ედისონს უკანასკნელ წლებშიაც მისი კლასიური თანაძმობენი არა ერთხელ ატყუებდენ ანგარიშში და საქმეებში ფაქტიურად ქურდავდენ (თამ ოდნავადაც ვერ ამოსწურა თავის გამოგონებათაგან კომერციული სარგებლობა), „კაპიტალისტურმა ეთიკამ" თავის დროზე საფუძვლიანად აგრძნობინა თავისი თავი ჯერ კიდევ მოუმწიფებელ ედისონს. საკმარისია მოვიგონოთ ისტორია ჯეი გულდთან, რომელმაც თავის დროზე მიითვისა პატენტი, რომელიც ეხებოდა ორმაგ და ოთხმაგ ტელეგრაფს, რთული ყალთაბახდობა ედისონის ავტომატიური საზოგადოების აქციებზე. თავის დროზე ედისონი ამის შესახებ ლაპარაკობდა: „მე დავკარგე 3 წელი გაჯიუტებული შრომისა. 30 წელი გრძელდება სასამართლოებში ხეტიალით, ბოლოს და ბოლოს კი შედეგები სრულიად უმნიშვნელოა". ნაღვლიანი იგონებდა ედისონი აგრეთვე ელექტროგანათების საზოგადოების მოქმედებას, რომელიც ექსპლოატაციას უშერებოდა მის სისტემას. მაგალითად, იგი მოგვითხრობს, თუ როგორ ურჩევდა „ნიუიორკის ერთი გამოჩენილი პირთაგანი" მას მიეყიდა 100.000 დოლარად თავისი ამხანაგების, (ელექტრო-განათების საზოგადოებიდან) ინტერესები.

ერთხელ, როდესაც იგი ლაპარაკობდა კაპიტალისტების დამოკიდებულებაზე გამომგონებელთა მიმართ, ასეთი აზრი გამოსთქვა: „არსებულ წესების დროს გამომგონებელს არა აქვს საშუალება სდიოს პროცესებს პატენტების ირგვლივ, ეს კი მუქებს პატენტებს, რამდენადაც იგი კაპიტალისტების ინტერესებს ეხება.

დღეს ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტები განსაკუთრებით ფართოდ დგანან მსხვილ აღმოჩენათა და გამოგონებათა შეყენების გზაზე. ურთიერთ შორის კონკურენციაში მყოფი ტრესტების მგლური ინტერესები მხილებათა მთელი სისტემა და მოსყიდვა აფერხებს ტექნიკის განვითარებას. მხოლოდ საბჭოთა კავშირში ეძლევა მეცნიერებასა და ტექნიკას განვითარების განუსაზღვრელი შესაძლებლობა, ფართო მასების გამომგონებლობა კი ხდება არსებითი ნაწილი სოციალისტური აღმშენებლობისა.

მსოფლიო ომის პერიოდში კაპიტალიზმი ცდილობდა ედისონის შემოქმედი ნიჭი ნგრევისა და განადგურებისაკენ მიემართა. იმპერიალისტური ომის დროს ამერიკის საზღვაო მინისტრ იდანიელსი მიმართავს ედისონს წარმართოს თავისი აზრები სამხედრო გამოგონებისაკენ. ედისონი ჩაუდგა სათავეში განსაკუთრებულ კომისიას, რომელსაც ევალებოდა მტერთან ზღვაზე და ხმელეთზე საბრძოლო ზომების გამომუშავება. იგი გახდა ამ დარგში ამერიკის მთელი ტექნიკის ხელმძღვანელი.

რა ღრმა წინააღმდეგობაში იყო ყოველივე ეს ედისონის „საცხოვრებო ფილოსოფიასთან"! თავისი სიცოცხლის სამოცდა მეჩვიდმეტე წელს ედისონი, რომელსაც დაუსვეს კითხვა: „რაში მდგომარეობს უმაღლესი საცხოვრებო ფილოსოფია"?! უპასუხებს: „მუშაობა, ბუნების საიდუმლოებათა გამოცნობა, მათი გამოყენება ადამიანთა ბედნიერებისათვის და ცხოვრების მხიდ ქვრეტა".

ედისონი ისე ჩავიდა სამარეში, რომ ვერ შეასრულა თავისი „საცხოვრებო ფილოსოფია", ვინაიდან ყოველივე ეს წარმოუდგენელია იქ, სადაც, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ „ადამიანის მთელი გონება ქმნიდა სიკეთე, ხოლო მეორეებს მხოლოდ იმისთვის, რათა ერთს მიეცეს ტექნიკის და კულტურის ყოველივე სიკეთე, ხოლო მეორეებს მოუსპოს საუსებით აუცილებელი განვითარება და განათლება".

მხოლოდ სოციალიზმის მშენებლობის ქვეყანაში, მსოფლიოს ერთადერთ მხარეში, რომლისკენაც უკანასკნელ წლებში, ედისონი იჩენდა დიდს და, როგორც ვფიქრობთ, თანაგრძნობის ინტერესს, ტექნიკის ყოველივე ნაწილი, კულტურის ყოველი დაპყრობა საყოველთაო საგანძურად ხდება.

**პროფ. მ. ლაპინოვ-სკობლო.**

# ანტირელიგიური მუშაობისათვის

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ეკლესია თავის გავლენის ქვეშ აქცევდა ბავშვებს. ასე იყო ძველად და ახლაც ასეა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. სხვა აღზრდა, გარდა რელიგიურისა არ არსებობდა.

დღესაც, კაპიტალისტური ქვეყნები რევოლუციონურ ნორჩ თაობას, უპირისპირებენ არა მარტო ისეთ პოლიტიკურ ახალგაზრდათა ორგანიზაციებს, როგორიც, მაგალითად, ფაშისტურსა და მსგავს — არამედ აუარებელ სახსრებს იღებენ ახალგაზრდათა კათოლიკიური ინტერნაციონალის ორგანიზაციების გასამრავლებლადაც.

რასაკვირველია, ასეთი ორგანიზაციების წევრები არიან დამყაყებული ბურჟუებისა და „წმინდა მამების" შვილები—მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება,—რომ ეკლესიას პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილ ბურჟუაზიის დახმარებით, საშუალება აქვს ხარჯოს აუარებელი თანხები ახალგაზრდობის მოსაქრთამავად".

საბჭოთა კავშირში ასეთი „მოქრთამვის" პოლიტიკური საშუალება ისტორიის მიერ განწირულ ხალხს—ბურჟუაზიასა და ეკლესიის მსახურთ—არა აქვთ და არც ექნებათ. ხოლო იქ—„იქითა მხარეს" შეცდომით შეიძლება გადიბირონ მუშების შვილებიც კი. ეს დროებითი მოვლენაა, ისე როგორც დროებითია დაგეშილი ბურჟუაზიის თარეში.

მეფის რუსეთში დაბალი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები მთლიანად დამოკიდებული იყვნენ ეკლესიისაგან, ეპისკოპოსებისა და მღვდლების კურთხევისაგან. რელიგიას ნორჩი თაობა ტერორის ქვეშ ყავდა. პატარებს აშინებდენ მისტიურ ითხვების, გველეშაპების, კუდიანების „არსებობით", უნერგავდენ ხატის, სიყვარულს ეკლესიას — და ბავშვებიც უფრო მეტად ეკლესიის შიშით იყვნენ გამსჭვალულნი.

სასწავლებლებში ყოველ დილით შემოღებული იყო ლოცვა. საღმრთო რჯულში მიღებულ ნიშნით ისაზღვრებოდა და ფასდებოდა მოსწავლის ნიჭი, მოსწავლის უნარიანობა.

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, რომ არ მიგვიყვანოს ბურჟუაზიისა და სამღვდელოების საზიზღროებამდე.

პროლეტარიატის მედგარმა ბრძოლამ და გამარჯვებამ გამოააშკარავა ყოველგვარი სახის რელიგიის კლასიური შინაარსი.

ოქტომბრის რევოლუციამ ამხილა რელიგიის როგორც თეორეტიული, ისე პრაქტიკული სიყალბენი. ყველასათვის აშკარა შეიქნა, რომ „სულიერ მამათა სიწმინდე", ღმერთებისა და ანგელოზების არსებობა მხოლოდ მოჭორილი ზღაპარია, მხოლოდ ბურჟუაზიისა და მისი დამქაშების შექმნილი ლეგენდაა, რომლის საშუალებითაც ისინი იპყრობდენ წარსულში მშრომელ გლეხობას, მუშათა ფენებს და მათ შვილებს.

რელიგია იყო ოქტომბრის რევოლუციამდე გაბატონებულ კლასის ერთ-ერთი საბრძოლო იარაღი—მშრომელი ხალხის წინააღმდეგ.

ოქტომბრის რევოლუციამ, საბჭოთა ხელისუფლებამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ... პოლიტიკური და სოციალური უკუღმართობა ამოწვა რკინის შანთით და ამ „რელიგიურ უკუღმართობასაც" დაადვა მძიმე ლოდი—ფართო მშრომელი მასაში რელიგიურ სიყალბეთა პოპულიარიზაციის გზით, რის შედეგადაც ჩვენ ვიცნობთ მილიონ დადგენილებას გლეხებისას და მუშებისას ეკლესიების დახურვის შესახებ. ბევრგან, ძალიან ბევრგან საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დანგრეულ ეკლესიების ადგილებზე ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებს.



ანტირელიგიური კარნავალი

ეს უდიდესი [illegible] სოციალის-ტური კულტურის ისტორიაში შევა როგორც საუკეთესო ფურცელი კომუნისური პარტიის საქმიანობისა. რასაკვირველია, ეს მიღწევები არ ნიშნავს იმას, რომ ამ ფრონტზე ყველაფერი თავის რიგზე იყოს და დავკმაყოფილდეთ ჩატარებულ მუშაობით.

პარტიის სოციალისტური შეტევა ყველა ფრონტებზე, რასაკვირველია კლასიური მტრის წინააღმდეგობას იწვევს. სამღვდელოება, როგორც ერთ-ერთი გამოვლინება ჩვენი კლასიური მტრის სახისა, შეცდება აწარმოოს ბრძოლა ამა თუ იმ სახით პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ, რუსეთში ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთები ბევრია, აქაც არ სძინავთ ალბად ამ „ბატონებს“.

განსაკუთრებით ეხლა, დეკემბერში როცა „ისინი“ „ქრისტეს შობას“ მოიგონებენ საკმაოდ ისვრიან შხამს ნაკვერცხალით ანთებულ საცეცხლურებიდან,—მაგრამ კომკავშირული და პიონერული ფოლადისებური სიმტკიცით უნდა ვუპასუხოთ მათ.

საერთოდ პიონერთა ორგანიზაციების მუშაობას ახასიათებს გეგმიანობა, სისტემა და იარკვეული საქმიანობა მშენებლობის ყოველ დარგში.

პიონერთა ანტირელიგიური აღზრდა, მათი დარაზმვა რელიგიის წინააღმდეგ საბრძოლველად— მოითხოვს ყურადღების მეტ გამახვილებას.

სათანადო ორგანიზაციებმა კომკავშირის უშუალო ხელმძღვანელობით, რევოლიუციონური სიმტკიცით და გამბედაობით უნდა გააფართოვონ ამ დარგში მუშაობა.

გ—ია.

# ქრისტე და კატა

1.

ნიუ-იორკში ამასწინად მოკვდა ქრისტე. სიკვდილის წინ ის მთელი დღე დაბორიალობდა ქუჩებში და არავინ მას ყურადღებას არ აქცევდა, შემდეგ კი ქვაფენილზე გაიშხლართა. პოლიციამ ნახა ის და საავადმყოფოში გაგზავნა. იქ გამოირკვა, რომ ის ქრისტეა, რომ მას უკვე რამდენიმე დღეა არაფერი უჭამია და რომ სიმშილისაგან ღონემიხდილი კვდება. და ის მართლაც მოკვდა.

ვინაიდან ის ნამდვილი ქრისტე იყო, და არა გამოგონილი, ეკლესიამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია მის ტანჯვასა და სიკვდილს. გამოგონილმა ქრისტემ გამოგონილი ხუთი პურით გაძლო გამოგონილი ხუთი ათასი მშიერი. ნამდვილი ქრისტესათვის ნამდვილ ნიუ-იორკში ნამდვილი პურის პატარა ნატეხებიც არსად აღმოჩნდა.

ქრისტეს ქრისტეფორე ერქვა, და არა იესო. ის 48 წლის იყო და დიდხანს ითვლებოდა უმუშევრად. ეს მხოლოდ ეს აცნობეს მოსახლეობას ნიუ-იორკის გაზეთებმა, რომლებიც ამ ქრისტემ იმით დააინტერესა, რომ ის გამოგონილი ქრისტეს მოგვარე იყო. მაგრამ ის მართლაც, და არა ისე, როგორც გამოგონილი ქრისტე, ცხოვრობდა, იტანჯებოდა და მოკვდა. და ასე ცხოვრობენ, იტანჯებიან და კვდებიან ათიათასობით მუშები ნიუ-იორკში და კაპიტალისტური ამერიკის სხვა ქალაქებში.

„შეუძლებელია ოქროს ჯვარს ვაცვათ კაცობრიობა“—ასე თქვა მრავალი წლის წინად ერთმა ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ (ბრაიანმა). მაგრამ ნამდვილი ამერიკელი მუშა, 48 წლის ქრესტეფორე ქრისტე, ნამდვილად ჯვარს აცვეს, ამერიკის კაპიტალიზმის ოქროს ჯვარს. ეკლესიამ დალოცა ეს ჯვარცმა, როგორც ყოველივე ის, რაც კაპიტალისაგან მომდინარეობს.

2.

თითქმის იმავე დღეს, როდესაც სიმშილით მოკვდა მუშა ქრისტე, სიმსუქნისაგან მოკვდა კატა მიცი.

გაზეთებმა არ დაბეჭდეს ქრისტეს სურათი, ვინაიდან ბურჟუაზიულ მკითხველს არ აინტერესებს სიმშილისაგან მკვდარი მუშა.

გაზეთებმა დაბეჭდეს კატა მიცის შესანიშნავი სურათი. ეს შესანიშნავი ანგორული კატაა. მის შესახებ გაცილებით უფრო მეტი ცნობების მოთავსება შეიძლება, ვიდრე [illegible] მუშა ქრისტეს შესახებ; ეს [illegible] უფრო მდიდარი კატა იყო მთელ მსოფლიოში.

ის 1913 წელს დაიბადა. მართალი რომ ვთქვათ, ის არაფრით არ იყო ღირსშესანიშნავი, გარდა იმისა, რომ მშვენიერი ცისფერი ბეწვი ჰქონდა. მას ბედმა გაუღიმა—ის მილიონერ მოლ აიდის ოჯახში მოხვდა. ის მართლაც აუწერელ ფუფუნებაში ცხოვრობდა. ბეწვებით მორთული მისი საწოლი, სადაც ის ნებივრობდა, რამდენიმე ათას დოლარად ღირს. 1930 წელს მოკვდა მილიონერი მოლ აიდი. აურაცხელი კაპიტალი, ანდერძის ძალით, კატას დარჩა. მიცი ცხოვრობდა საკუთარ სახლში, რომელიც ახლა აუქციონით 25.000 დოლარად იყიდება. სახლის მოწყობილობა აუქციონზე 10.000 დოლარად შეაფასეს.

„აუქციონ“-ს რომ წაიკითხავს, მკითხველმა იქნებ იფიქროს—კატა მიცი, როგორც მილიონერის აღზრდილი, მილიონერის სიკვდილის შემდეგ, ალბათ, საბირჟო სპეკულიაციაში ჩაება და, საერთო კაპიტალისტური კრიზისის და ბანკების გაკოტრების გამო, იზარალაო. არა, კატა მიცი არ დაუზარალებია კაპიტალისტურ კრიზისს, მან კარგად გადაიტანა ბირჟის არევ-დარევის ამბები, მაგრამ გულის სიმსუქნემ იმსხვერპლა. როგორც ეტყობა, მას ძალზე ბევრს აჭმევდენ. ვინაიდან მილიონერების კატებს არა აქვთ უფლება—თავისი ქონება უანდერძონ ვინმეს, ხოლო პირდაპირი მემკვიდრეები მიცის არ დარჩენია, ამიტომ მისი სახლი, მოწყობილობა და საწოლი აუქციონით გასაყიდი გახდა.

უეჭველია, მისი ქონება სხვა მილიონერებმა შეისყიდეს სხვა კატებისათვის.

თ.



„აზნავთ“-ის ქარხნები აჭარისტანში

# საერთაშო

## გრანდიოზული საცირკო პროგრამა

საერთაშორისო ცირკის დასში ახლად მიღებული არიან გამოჩენილი მსახიობები: ბ. ბ. ოტო ბაუერი, გიტლერი (გერმანია) ადლერი (ავსტრია), ეუო (საფრანგეთი) და სხვა. ცირკი წყალზე და წყალქვეშ.

ცირკის მოედანზე ფუტბოლი პირველად. შეჯიბრება—საფრანგეთი — ჩრდ. ამერიკის ერთებული შტატები.

მშვიდობიანობის გაწვრთნილი მტრედები და ეკონომიური დაცემის გარეული ვეფხვები.

სიმძიმეების აწევა (მთავარი როლი—გერმანია) და სხვა მრავალი ნომრები (ჯამბაზები, ოინბაზები, ტან-მოვარჯიშენი და გაწვრთნილი ცხოველები).

წარმოდგენის დროს მომხდარ , უბედურ შემთხვევებზე ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს.

### დირექტორი—რამზეი მაკდონალდი.

**დირექცია სრული შემადგენლობით**

(გარდა მთავარი დირექტორისა, რომელიც წარმოდენის მსვლელობის დროს იქნება ნაჩვენები).

### 1. დირექტორის თანაშემწე გიტლერი



პროფესიით ცხენების გამწვრთნელი. უკანასკნელ დროს დახელოვნდა გერმანელ ფაშისტების გაწვრთნაზე. გამწვრთნელის ხელოვნებას გიტლერი საერთაშორისო ცირკის მოედანზე განსაცვიფრებელი წარმატებებით იყენებს.

### 2. დირექციის წევრი პოლ ბონკური



საფრანგეთის იმპერიალიზმის ერთგული დარაჯი ძაღლი, ცნობილი სამხედრო პროექტის ავტორი საფრანგეთში და საფრანგეთან სოციალ-ფაშისტების ბელადი.

### 3. დირექციის წევრი ვანდერველდე

ძველი თაღლითი და გაიძვერა. ცნობილი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსვლებით ასრულებს თავის ხელობას (საბჭოთა კავშირის ლანძღვას) და ჭორების გავრცელებით. საერთაშორისო სპარეზზე მე-II ინტერნაციონალის თავმჯდომარე.



### 4. დირექციის წევრი ადლერი

ბელადი ავსტრიის სოციალ-ფაშისტებისა, რომლებმაც სახელი გაითქვეს იმით, რომ დაამახინჯოს კარლ მარქსის მოძღვრება და კაპიტალის სამსახურისთვის გამოიყენეს.



საერთაშორისო ცირკის დირექცია (მე-II ინტერნაციონალი) პატივცემულ საზოგადოებას ყველა ჯურის საერთაშორისო კაპიტალს მოწიწებით ესალმება და გამოთქვამს სამსახურის გაწევის იმედს.

### 5. დირექციის წევრი ო. ბაუერი



მე-2 ინტერნაციონალის ერთი ბელადთაგანი, რომლის ლოზუნგია დღეს „პირით კაპიტალისტებისაკენ, ზურგით მუშებისკენ. მეორე ინტერნაციონალი ღირსეულად უწოდებს მას „ინტერვენციონისტს".

6.




გუნდი მაგდონალდის ხელმძღვანელობით. სანამ ხალხი ადგილებს დაიკავებდეს, გუნდი მაგდონალდის ხელმძღვანელობით ასრულებს ცნობილს სიმღერას **„ჩვენ გვინდა განიარაღება"**.

დირიჟორი უხსნის ხალხს, რომ ეს სიმღერა ხშირად 1 აპრილში უნდა შესრულდეს როგორც დღემდე, მაგრამ დღეს იმღერება მუშათა კლასის, გამემარცხენების გამო. შეიძლება კიდეც დაიჯერონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რ ი ს ო ც ი რ კ ი

### 7. მშვიდობიანობის მტრედი

ცირკის მოედანზე ფრთების ფართხუნით გამოფრინდება უშველებელი მტრედი. მასზე აზის გენერალი სოც.-დემოკრატი, რომელიც ფირფიტას აქნევს ხელში, რომელზეც აწერია „ბრძოლა განიარაღებისათვის“.



წინაალმდეგ ამ ლოზუნგისა, სოციალ-დემოკრატები აძრობენ უკანასკნელ ლუკმას პირიდან გერმანიის მუშებს და ამზადებენ ყუმბარებს მომავალი ომისთვის.

მაგრამ მაყურებელი უცებ ამჩნევს, რომ მტრედს ფაშისტური ქუდი ხურავს და რომ მისი ფრთები ზარბაზნებიდან შედგება.

მიუხედავად მსახიობის განსაკუთრებული უნარისა, პოლიტიკურ წონასწორობის დაკავების (ჩვენიც და თქვენიც) და პოლიტიკურ ლოზუნგებით თამაშისა, ის მალე გაფრინდა მოედნიდან.

### 8. ჯერ უნახავი ნომერი

## ცირკი წყალქვეშ

ხალხის თვალწინ ცირკის მოედანი წყლით ივსება. დიდი აუზის ფსკერზე ჩაუშვებენ წყალში გერმანიას (სპეციალური საწყალქვეშო ტანისამოსი არ აცვია). რამოდენიმე ხნის შემდეგ საფრანგეთი (ბრიანი) გადაწყვეტს მის გადარჩენას. „პირველად საკუთარი თავის სარგებლიანობაზე უნდა იზრუნო“—ფიქრობს ბრიანი და გერმანიის წინაშე სვამს „წინასწარ პირობებს“.

გერმანია, დამხრჩვალი მოკავშირეთა ვალებით და გაღატაკებული მთელი მრეწველობის გაკოტრების გამო, იძულებულია საფრანგეთის ყველა პირობა მიიღოს.



ახალი მილიარდები აწვება გერმანიის მუშათა კლასს, რომელმაც არა ერთი გაძარცვის გეგმა განიცადა (დაუესის, იუნგის). ეს ნომერი დიდი წარმატებით სარგებლობს. მხოლოდ ის არ მოსწონს ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებს. გუვერმა ამ დროს მოიფიქრა თავისი გეგმა გერმანიის „გადასარჩენად“.

გემრიელი ნაჭერია!

### 9. არა ნაკლებ გრანდიოზული, ვიდრე „ცირკი წყალზე“

ცირკის მოედანზე გამოცურდება დიდი გემი წარწერით. „საფრანგეთი“. გემი მოვიდა პოლონეთის ნავსადგურ ედინიაში ამხანაგური პატივისცემის ნიშნად. ეს ნავსადგური არის დასაყრდენი ბაზა საფრანგეთისა და პოლონეთისთვის მომავალ ომში.

საფრანგეთის გემთან კალოშებში ჩაპსხდარნი (გემების უქონლობის გამო) მიცურდებიან პოლონეთის მარშლები და გენერლები. ისინი მოელაპარაკებიან საფრანგეთის გენერლებს ახალი წყალქვეშა ნავების და ჯავშნოსანი გემების აგების შესახებ. ნომერი დიდი წარმატებით სარგებლობს ხალხში.

### 10. მსოფლიო ბოქსიორი ბრიანი (საფრანგეთი)

ხალხის საყვარელი აჩვენებს თავის უკანასკნელ ნომერს (ინგლისის ბანკებიდან ფულის გამოცანცვლას). ნომრის შესრულების დროს უკრავს ორკესტრი, რომელსაც ლავალი (საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი) ხელმძღვანელობს.



ლონდონში წარმოებული მოლაპარაკების შედეგად (განიარაღების შესახებ) საფრანგეთი ცდილობს გავლენის მოხდენას ინგლისზე—ამ ოქროს მარაგის შემცირებით ინგლისში, რომელიც საფრანგეთის მოქალაქეებს აქვთ ინგლისის ბანკებში შენახული. ამ ფულის უკან წაღებამ გამოიწვია ინგლისური ფულის—სტერლინგის დაცემა.

**ნომერი წარმატებით ვერ სარგებლობს.**

### 11. გაწვრთნილი ვეფხვი ცირკის მოედანზე

საშიშია მხოლოდ ზანგებისათვის. თეთრკანიანებს შეუძლიათ არ შეწუხდენ. გამოაქვთ დიდი გალია, რომელშიაც დეკორაციებით მოწყობილია ამ ცადმბჯენებიდან ცადმბჯენები. მედიდურად გამოდის ვეფხვი „კაპიტალისტის“ სახელწოდებით. ის პირდაპირ ზანგი მუშებისაკენ მიემურება. გეგონება—ეს-ეს არის გაგლეჯს საწყალ ზანგ მუშას, მაგრამ მოქნეული თათი ნელა ძირს ეშვება. ასე გრძელდება დიდხანს, სანამ ხალხს ეს არ მოწყინდება.

ზანგებს ანგარიშს არვინ უწევს: ისინი შეჩვეული არიან ასეთ ტანჯვას და, გარდა ამისა, შავკანიანები არიან.



### 12. გაწვრთნილი ძაღლები

წარმოდგენის ბოლოს გამოდის ზევერინგი, რომელმაც პირზე დოობლით განაცხადა: „ვკრძალავ საერთაშორისო ახალგაზრდობის დღეს მთელ გერმანიაში. არავითარი დემონსტრაციები!“

სანამ ბრიუნინგის მთავრობა ერთი-მეორეზე ამზადებს განსაკუთრებულ განკარგულებებს—დეკრეტებს მუშათა კლასის კისერზე მოსახვევად, ზევერინგები, გრზეჟინსკები და სხვა ჯურის პოლიციის ჟანდარმები კომბალით ხელში ერთგულად იცავენ კაპიტალისტებს. ზევერინგის აკრძალვის საპასუხოდ, გერმანიის მუშა-ახალგაზრდობა შედის ახალგაზრდათა ინტერნაციონალის რიგებში და გამოდის ქუჩებში თავისი ძალის და სიმტკიცის საჩვენებლად. ისინი გაიმარჯვებენ. ეს იციან ბრიუნინგებმაც, გრჟეზინსკებმა და ზევერინგებმაც და რაც მტკიცეა აკრძალვა, იმდენად უფრო ახლოვდება გამარჯვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტექნიკის საღამოები

(გაგრძელება *)

## ფოლადის ფრინველები

ავიაციის საღამომ უნდა მისცეს ბავშვებს წარმოდგენა საჰაერო ფლოტის ამოცანებსა და განვითარებაზე და ჩააბას ისინი საავიაციო საქმის შესწავლაში.

## საღამოს პროგრამა

ბაასი თემაზე „ფოლადის ფრინველები". ბაასის დროს საჭიროა დიაპოზიტივების ჩვენება.

ბაასის შემდეგ გუნდი მღერის „რკინის ფრინველებს".

სულ ზევით, სულ ზევით
მივფრინავთ, მივფრინავთ,
არ გვინდა გვირაბი,
რელსები, ხიდი,
საითაც გახედავ,
ყოველგან გავივლით.
მაღალი მთებისაც
არა გვაქვს რიდი,
სულ ზევით, სულ ზევით
მივფრინავთ, მივფრინავთ,
ჩვენ ქვევით გარბიან
მთები და ველები,
გადვუფრენთ ქალაქებს,
ზღვებსაც გადავლახავთ
ცაში მოსრიალე
რკინის ფრინველები.

ამ სიმღერის დროს გაუშვებენ მფრინავ მოდელებს.

მოდელების გაშვება ასე ხდება: ერთნაირი სიმაღლის რამდენიმე ბავშვი დგას ესტრადაზე და ხელში მოდელები აქვთ. სიმღერის დროს ისინი რიგ-რიგობით უშვებენ მოდელებს. ეს ნომერი ეფექტიანია. მფრინავი მოდელები ბავშვების ყურადღებას იწვევს.

იქ, სადაც აეროიმოდელების წრეა, ეწყობა ამ წრის ნამუშევართა გამოფენა.

გამოფენის დათვალიერება შეადგენს საღამოს მეორე ნაწილს. საღამოს დასასრულს უნდა აუშვათ საჰაერო ბურთი.

## ცოცხალი მანქანა

ბავშვებს უნდა უჩვენოთ ორთქლის მანქანის, ტურბინის, გენერატორის მოდელები, საჭიროა ბაასი ორთქლის, ქარისა და წყლის ენერგიის გამოყენებაზე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში.

ბაასი პირველი მანქანის გამომგონებლებზე—ჯეიმს უატზე და ივანე პოლზუნოვზე. კარგი იქნება, თუ უჩვენებთ დიაპოზიტივებს, რომლებიც ნათელჰყოფს მანქანების, კერძოდ ტექნიკის თანდათანობით განვითარებასა და გაუმჯობესებას.

საღამო შეიძლება დასრულდეს მუსიკით და ფიზკულტურული ნომრით „ცოცხალი მანქანა". ამ ნომრის დასადგმელად უნდა დაიხმაროთ ფიზკულტუროსანი ბავშვები.

## სასწაული უსასწაულოდ

რაზმებში, სკოლებსა და კლუბებში, იქ, სადაც არიან ბავშვები, რომელნიც ტექნიკის სხვადასხვა დარგში (რადიო, ელექტრობა, ავიაცია და სხვ.) მუშაობენ, შეიძლება მოეწყოს ტექნიკის საერთო საღამო.

ტექნიკური წრეებისათვის და ცალკეული ბავშვებისათვის, რომელნიც ტექნიკის დარგში მუშაობენ, ასეთი საღამო იქნება მათი ერთგვარი „გამოცდა", განსაზღვრული დროის განმავლობაში მათი მუშაობის მიღწევების ნათელყოფა.

საღამოსათვის თავის დროზე უნდა შეუდგენ სამზადისს. სადაც ტექნიკური წრეებია, იქ ამას დიდი დრო არ დასჭირდება: ბავშვები ყოველთვის მზად უნდა იყვნენ თავისი მიღწევების საჩვენებლად.

ასეთი საღამოს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ცალკეული წრეებისა და ბავშვების ნამუშევართა გამოფენა.

ნამუშევართა გამოფენის გარდა, საჭიროა მოეწყოს თუნდაც პატარა გამოფენა იმ წიგნებისა, რომლებიც ტექნიკას ეხება. ამისათვის დასახმარებლად უნდა მიმართოთ ბიბლიოთეკას ან სამკითხველოს.

წიგნების გამოფენა ისე უნდა მოაწყოთ, რომ გამოფენამ ნათლად დაანახვოს ბავშვებს, თუ რას მისცემს მათ ეს წიგნები და მოდელები. მაგალითად, საავიაციო წიგნებთან შეიძლება ვიტრინაში დაიკიდოს თვითმფრინავის მოდელი, მუყაოსაგან გაკეთებული და გაფერადებული, აგრეთვე დახატი—ახალგაზრდა ავიატორები, რომლებსაც მოდელები უჭირავთ, მაგალითად: „რა უნდა წაიკითხოს ახალგაზრდა ტექნიკოსმა".

შენობის გასალამაზებლად დაამზადეთ სათანადო ლოზუნგები და პლაკატები.

## საღამოს ლოზუნგები

**შევიტანოთ ტექნიკა ბავშთა მასებში.**

**ნორჩი ტექნიკოსები მომავალი ტექნიკური კადრები არიან.**

**პიონერებო და მოწაფეებო, იბრძოლეთ ხუთწლედისათვის!**

**კომუნიზმი—ესაა საბჭოთა ხელისუფლება, პლიუს ელექტროფიკაცია (ლენინი).**

**ელექტრობა—ჩვენი წითელი იარაღია (კრჟიჟანოვსკი).**

**რადიო—მასებში კულტურის შემტანია.**

**ყოველ სკოლას უნდა ჰქონდეს ხმამაღლა მოლაპარაკე!**

არც ერთი წუთი შენ არ დაკარგო—
**ტექნიკურ წრეში შედი, ჩემო კარგო!**

კარგი იქნება საღამოსთვის გამოიცეს კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, რომელიც გააშუქებს ტექნიკური წრეების მუშაობას.

მთელი მოსამზადებელი მუშაობის ჩამოსაყალიბებლად, აგრეთვე თვით საღამოს ჩასატარებლად ირჩევენ ბავშვების განსაკუთრებულ ბრიგადას (ეს ბავშვები სხვადასხვა წრეში მუშაობენ). ბრიგადის წევრები ერთმანეთ შორის ინაწილებენ საღამოს მოსაწყობ მთელ მუშაობას: ერთი პასუხს აგებს ბილეთების განაწილებაზე, მეორე—ინსცენირობის ან მოხსენების მომზადებაზე, მესამე—გამოფენის მოწყობაზე. ბავშვებმა უნდა ამოირჩიონ სამი მორიგე—ტანისამოსის გასახდელათ თვალყურის სადევნებლად, კონტროლისათვის და დარბაზში წესრიგის დასაცავად.

ბრიგადამ უნდა გამოჰყოს ე. წ. პასუხისმგებელი გამგე, რომელიც კრების თავმჯდომარის როლს ასრულებს საღამოზე. ყოჩაღი პიონერი—თავმჯდომარე ხსნის კრებას და აცხადებს პროგრამას. პასუხისმგებელმა გამგემ უნდა შესძლოს ბავშვების დარაზმვა და გართობა ანტრაქტების დროს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბავშვები სულ მხიარული იყვნენ, არ მოიწყინონ, რისთვისაც შეიძლება მიეცეთ სახუმარო შეკითხვები, გამოცანები, მოეწყოს გუნდის მღერა და სხვა.

## საღამოს პროგრამა

1. შესავალი კოლექტიური მოხსენება.

**„ხუთწლედი და ნორჩი ტექნიკოსები"**

2. გუნდის მღერა.
3. ინსცენირობა **„სასწაული უსასწაულოდ".**
4. **გამოფენის ჩვენება** (ხელსაწყოებისა და ცდების დემონსტრირება).
5. **გართობა-თამაშობანი.**

## ჩვენ ვაშენებთ

1. **„ხუთწლედი და ნორჩი ტექნიკოსები"** (კოლექტიური მოხსენება).

სცენაზე აინთება დიდი პლაკატები **„ჩვენ ვაშენებთ".**

**რადიო** (მუყაოს მილით) **ბავშვებო—პიონერებო და მოწაფეებო—ისმინეთ, ისმინეთ!**

**1-ლი ხმა:** წინ მიდის საბჭოთა კავშირი ბტრებმა ჩამოყარეს ყურები.

**მეორე ხმა:** შენდება ფაბრიკა-ქარხნები.

**მესამე ხმა:** ჩნდება სოციალისტური ქალაქები,



*) დასაწყისი იხ. ჟ. „პიონერი" № 1.

მეოთხე ხმა: კეთდება ახალი რკინის გზები

ოთხივე: მშრომელთა ნებისყოფას რა დაუმაგრდება!

ყველა: დიადი ხუთწლედი მალე დამთავრდება!

პირველი ხმა: სოციალ. აღმშენებლობის ერთ-ერთ ძირითადი ამოცანაა: შეუმსუბუქოს გლეხს შრომა, გაადიდოს მუშის შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესოს ფაბრიკა-ქარხნების მუშობა.

მეორე ხმა: ამას მივაღწევთ, როდესაც ტექნიკის უახლოეს მიღწევებს გამოვიყენებთ წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში.

მესამე ხმა: ახალი ტექნიკის შემოღება შეუძლებელია, თუ არ ავამაღლეთ ჩვენი ქვეყნის კულტურული დონე. აუცილებლად საჭიროა რაც შეიძლება მალე მოვსპოთ ფართო მასების ტექნიკური უვიცობა.

მეოთხე ხმა: ტექნიკური ცოდნით უნდა შევაიარაღოთ საბჭოთა კავშირის მრავალი მილიონი ბავში. პოლიტექნიკური აღზრდა საყოველთაო, მასიური უნდა იყოს.

ოთხივე: აღმშენებლობას ტექნიკური ცოდნით შეიარაღებული ხალხი სჭირდება. პიონერო და მოწაფე ბავშებო, ყველანი შედით ნორჩ ტექნიკოსთა რიგებში. ჩვენ უნდა მივცეთ ქვეყანას კვალიფიციური მუშების ახალი კადრები!

ყველა: ამისათვის საჭიროა სწავლა, სწავლა, სწავლა!

ვიბრძოლოთ ცოდნისათვის, ვიბრძოლოთ ახალი ტექნიკისათვის!

პირვ. ხმა: ვინც კი სწავლობდა 5 წლედს, მან იცის, რომ გეგმას გათვალისწინებული აქვს ქვეყნის ელექტროფიკაციის მძლავრი განვითარება. ამ გზაზე ბევრი დაბრკოლება გადაგვეღობება. ჯერ კიდევ არ იცის ყველამ, რომ სოციალიზმს ვერ ავაშენებთ, თუ ელექტროფიკაცია არ გავატარეთ. ნორჩო ელექტროტექნიკოსებო, ჩვენ განა არ შეგვიძლია ამ საქმეში დახმარების აღმოჩენა?

ხმა დარბაზიდან: შეგვიძლია, ამხანაგებო!

ოთხივე: შეგვიძლია და კიდევაც უნდა დავეხმაროთ. გავავრცელოთ ელექტრობის შესახებ ცოდნა ხალხში! დავრაზმოთ ელექტრობის მეგობრები, გავამრავლოთ მათი რიცხვი!

ყველა: ნორჩო ელექტროტექნიკოსებო! ყველამ ვიბრძოლოთ საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად!

რადიო: კულტურულ ხუთწლედში დიდი ადგილი უჭირავს რადიო-მშენებლობას. ჩვენი მრეწველობა, ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, მილიონ რადიომიმღებს გამოუშვებს, მაგრამ ეს არ კმარა. სავსებით რომ დავაკმაყოფილოთ რადიომიმღებებით სოფელი, საჭიროა ამ საქმეში დაგვეხმარონ რადიომოყვარულები, ნორჩი რადიომოყვარულები, მზად ვართ თუ არა ამისათვის?

ხმა დარბაზიდან: პროფორგანიზაციამ იკისრა მისცეს სოფელს 75.000 რადიომიმღები, ქალაქის თვითეულმა რაზმმა 3 რადიომიმღები უნდა მისცეს სოფელს.

პირვ. ხმა: ბავშებო გამოიწვიეთ ერთმანეთი შეჯიბრებაში—აბა, ვინ უფრო მეტ რადიომიმღებს დადგამს თავის რაიონში!

ოთხივე: თვითეული დადგმული მიმღები სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ჩვენი გამარჯვების ნაწილია.

ყველა: ეი, პიონერებო, ნორჩო ტექნიკოსებო—რადისტებო! შევასრულოთ შეკრების დავალება, შევიტანოთ რადიო სოფლად.

ხმა დარბაზიდან: სკოლასაც უნდა მივცეთ რადიო. ჩვენს სკოლაში აგერ მეორე წელიწადია აპირებენ რადიომიმღების დადგმას და ვერანაირად კი ვერ დადგეს.

პირვ. ხმა: ჩვენ უნდა ჩავატაროთ სკოლის რადიოფიკაცია, მოდი ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ ყოველ სკოლაში იყოს ხმამაღალი მოლაპარაკე.

ყველა: ბავშების საერთო ძალღონით დავეხმაროთ სახელმწიფოს ქვეყნის რადიოფიკაციის საქმეში.



პირველი ხმა: ხუთწლიან გეგმაში დიდი ადგილი უჭირავს ავიაციას.

საჰაერო ფლოტი აუცილებელია მშვიდობიანი ცხოვრებისათვის და ქვეყნის თავდაცვისათვისაც. ხუთწლედით გათვალისწინებულია თვითმფრინავებისა და საჰაერო გზების რაოდენობის გადიდება. ჩვენს ქვეყანას დასჭირდება მფრინავების, ავიო-ინჟინრების და ტექნიკოსების ახალი კადრები. პიონერებო და მოწაფე ბავშებო, მოჰკიდეთ ხელი ავიაციის შესწავლას!

მეორე ხმა: ავიომოდელიზმი—ესაა მომავალი წითელი მფრინავის და ავიო-ინჟინრის პირველი ნაბიჯი. მოდელია—პლანერზე და ნამდვილ თვითმფრინავზე!

ოთხივე: თვითეული პიონერი და მოწაფე საბჭოთა ავიაციის მეგობარია.

ყველა: ბავშვები თავისი ხელებით უნდა დაეხმარონ ქვეყანას! ნორჩო ტექნიკოსებო, პიონერებო და მოწაფეებო, იბრძოლეთ ხუთწლედისათვის!

შ. თ.

# მოვისმინოთ ადგილებზე მუშაობის შესახებ

## როგორ მუშაობს ზუგდიდის პიონერორგანიზაცია

დღემდე ზუგდიდის რაიონის ნ. პ. ორგანიზაციის მუშაობა ძალზე მოისუსტებდა. ეს, უმთავრესად, აიხსნება იმით, რომ რაიბიუროს არ ქონდა სწორი აღრიცხვა იმისა, თუ რამდენი პიონერი და ოქტომბრელი ყავდა მას რაიონის მასშტაბით; გარდა ამისა პიონერრაზმები არ იყვნენ უზრუნველყოფილნი სათანადო ხელმძღვანელობით. ყველა ამ გარემოებამ შეაფერხა ნ. პ. რაზმებში მასიური მუშაობა—ზრდის საკითხის მოუწესრიგებლობა, მონაწილეობა მიმდინარე კამპანიებში და სხვ. ამრიგად, ზემოდ ჩამოთვლილი საკითხებისა და ამოცანების შეუსრულებლობა მიეწერება რაიბიუროს ყოფილი ხელმძღვანელობის სუსტ მუშაობას, რის გამო ხელმძღვანელობა გადარჩეულ იქნა.

ახალი ხელმძღვანელობა სათავეში ჩაუდგა ზუგდიდის ნ. პ. ორგანიზაციას, მან ძირითადი გარდატეხა მოახდინა პიონერთა მუშაობაში რაც შემდეგში გამოიხატება:

ა) რაიონში მოხდენილ იქნა პიონერ-ოქტომბრელთა ზუსტი აღრიცხვა სათანადო ფორმების შედგენით.

ბ) ყველა სკოლებთან (საკოლმეურნეო, საქარხნო-საფაბრიკო და 4 წლედებთან) ჩამოყალიბებული და განმტკიცებულ იქნა ნ. პ. რაზმები.

გ) ხელმძღვანელობის გასაჯანსაღებლად სოფლის მიხედვით შექმნილ იქნა პიონერთა საბაზო საბჭოები.

დ) კ. კ. რაიკომმა მობილიზაცია გაუკეთა 100 აქტიურ კომკავშირელს პიონერთა შორის სამუშაოდ, რომლებიც გამოყენებული არიან ნ. პ. რაზმებისა და საბაზო კოლექტივების ხელმძღვანელებად.

ე) მოწვეულ იქნა ნ. პ. რაზმებისა და ბაზის ხელმძღვანელების რაიონული თათბირი, სადაც დამუშავებულ იქნა საკითხი ნ. პ. მუშაობის საწარმოო ნიადაგზე გარდაქმნის შესახებ.

ვ) თითეული ნ. პ. რაზმი მიმაგრებულ იქნა კოლმეურნეობებთან, საწარმოებთან და დადებულ იქნა სათანდო ხელშეკრულებაც.

ზ) დამუშავებული იქნა აგრეთვე პიონერორგანიზაციის ზრდის საკითხი და ამის საფუძველზე ადგილებს დაეგზავნა სათანადო დირექტივა.

ი) ეხლა გადამწყვეტი ნაბიჯია გადადგმული პიონერთა კლუბის მოსაწყობად, უკვე გამონახულია დარბაზი და ამ ჟამად მიმდინარეობს მისი შეკეთება, ასე რომ 15 დღეში ქალაქის პიონერები უზრუნველყოფილი იქნებიან კლუბით.

გარდა ამისა, გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ პროფკავშირული, კოოპერატიული და სხვ. ორგანიზაციები სრულებით არ აქცევენ ყურადღებას პიონერ მუშაობის საკითხს, სხვას რომ თავი დავანებოთ, პროფკავშირმა უარი განაცხადა პიონერთათვის კულტფონდიდან 5%-ს გაღებაზე. კოოპერაცია დღემდე ყურსაც არ იბერტყავს პიონერთა მომარაგებაზე.

კ) უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ განათლების განყოფილება არ აქცევს სათანადო ყურადღებას პიონერ ორგანიზაციას.

დასასრულ, უნდა ითქვას რომ ნ. პ. მუშაობაში მოხდენილია ძირითადი გარდატეხა, რაც უზრუნველყოფს პიონერ მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებას.

ფასი 30 კაპ.

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო
კომისარიატის ჟურნალი—ბავშთათვის

წელიწადი VII **„პიონერი"** წელიწადი VII

გამოდის თვეში ორჯერ

**„პიონერი"** ემსახურება ბავშვების კომუნისტურად აღზრდის დიად საქმეს.
**„პიონერის"** ამოცანაა—თავის ირგვლივ შემოკრიბოს ბავშთა ფართო მასები.
**„პიონერ"-ში** სისტემატიურად მოთავსდება წერილები, ლექსები, მოთხრობები და მხატვრული ნარკვევები მიმდინარე პოლიტიკურ კამპანიების შესახებ.
**„პიონერი"-ს** მთელი შინაარსი და ხასიათი შეფარდებულია სოციალისტური მშენებლობის მიერ დასმულ საკითხებთან.
**„პიონერს"** უნდა კითხულობდეს ყოველი პიონერი და ხელს უწყობდეს მის ფართოდ გავრცელებას შეუკავშირებელ ბავშთა შორის.
**ხელის მოწერის პირობები:** 1 წლით 4 მან., 1/2 წლით 2 მან. 20 კაპ.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1. ტფილისში—პერიოდსექტორში—ჯორჯაძის ქ. № 1.
2. სახელგამის ტფილისის და პროვინციის მაღაზიებში.
3. სათანადო უფლებით აღჭურვილ რწმუნებულებთან.
4. ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში.

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო
კომისარიატის ჟურნალი—მცირეწლოვან ბავშთათვის

**„ოქტომბრელი"**

(ყოველ თვიური)

**„ოქტომბრელი"** ემსახურება ოქტომბრელთა კომუნისტურად აღზრდის დიად საქმეს.

**„ოქტომბრელი"** ბავშვებისათვის 7—10 წლამდე პოპულიარული ენით აშუქებს სოცმშენებლობის საკითხებს, პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასმულ ყოველგვარ ამოცანებს და მიმდინარე კამპანიებს.

**„ოქტომბრელი"** აწვდის ჩვენს ბავშვებს ცნობებს უცხოეთის ბავშთა რევმოძრაობისა და მდგომარეობის შესახებ.

**ხელის მოწერის პირობები:** 1 წლით 3 მან.; 1/2 „ 1 მან. 70 კაპ.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1. ტფილისში—პერიოდსექტორში—ჯორჯაძის ქ. № 1.
2. სახელგამის ტფილისის და პროვინციის მაღაზიებში.
3. სათანადო რწმუნებით აღჭურვილ რწმუნებულებთან.
4. ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში.

მთავლიტი № 261. გაზ. „კომუნისტი"-ს სტამბა. ტფილისი, კამოს ქ., № 68 შეკვ. № 283 ტირაჟი. 5000